



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 21 მარტი, 2016 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის ეროვნული კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ანა ნაცვლიშვილი - პირველი ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
6. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
7. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
9. ვლადიმირ ბოჭაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
10. მარიამ ოზაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

## განსახილველი საკითხები:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიურ შეხვედრასთან დაკავშირებული საკითხები;
- კომუნიკაცია პლატფორმის წევრებს შორის; ბ-ნ ზვიად ელიზიანის მიერ ინიცირებული წინადადების განხილვა;
- რეგიონალური წარმომადგენლობები;
- სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ მიულოცა არჩევა და დამსწრეებს გააცნო ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ბრიუსელში ჩატარებული შეხვედრის შედეგები.

საბჭომ პირველ საკითხად განიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიურ შეხვედრასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ლია თოდუამ ისაუბრა ჯგუფის მუშაობის ეფექტურობის გაზრდისთვის სავალდებულოდ დაწესდეს წინასწარ განსაზღვრულ შეხვედრებზე წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, ორგანიზაცია გაირიცხოს პლატფორმიდან.

სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა, ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ, ასევე ხაზი გაუსვა სამუშაო ჯგუფებში კომუნიკაციის პრობლემას და აღნიშნა, რომ ხშირად კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება გართულებულია ქვორუმის არარსებობის გამო. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მან საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ ის საკითხები, რომლის შესახებაც ჯგუფმა იმსჯელა, თუმცა გადაწყვეტილება პროცედურულად ვერ მიიღო, საბჭომ განიხილოს და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცოს. მისი თქმით, ამ მიდგომით ლეგიტიმაცია გაეზრდება გადაწყვეტილებას და პროცედურაც გამარტივდება.

პლატფორმის ეროვნულმა კოორდინატორმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა საბჭოს შესთავაზა წინასწარ განისაზღვროს ჯგუფების შეხვედრები და სამუშაო წლის დასაწყისიდანვე გახდეს ცნობილი ჯგუფის წევრებისთვის.

პლატფორმის მუშაობის ეფექტურობის ხარისხის გასაზრდელად საბჭომ მსჯელობის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ინსტრუქციის სახით შემუშავდეს შემდეგი შიდა განაწესი:

- სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებმა სამდივნოს მიაწოდონ გეგმიური შეხვედრების თარიღები, რაც თავის მხრივ გადაეგზავნება ჯგუფის წევრებს და განთავსდება პლატფორმის ვებგვერდზე;
- სამდივნომ მინიმუმ 5 დღით ადრე ჯგუფების სამუშაო ელ-ფოსტაზე, გააგზავნოს შეხსენება ჯგუფის შეხვედრის შესახებ;
- სავალდებულოდ განისაზღვროს, პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა შეცვალონ წარმომადგენელი, თუ სამუშაო ჯგუფში მითითებული პირი, ვერ ესწრება შეხვედრას;

- სამუშაო შეხვედრის დღის წესრიგი შეიმუშავოს თავად ჯგუფმა, ელექტრონული კომუნიკაციის ფორმით - ჯგუფის კოორდინატორებმა მინიმუმ 5 დღით ადრე, გააგზავნონ განსახილველი საკითხები, ხოლო ჯგუფის წევრებმა ჩაამატონ საკუთარი ინიციატივები;
- ქვეჯგუფის შემთხვევაში, ქვეჯგუფის კოორდინატორების არჩევის და გადაწყვეტილებების მიღების საკითხები გადაწყდეს პროცესში მონაწილეთა უმრავლესობით და არა სიითი შემადგენლობის მიხედვით.

საბჭო ასევე შეთანხმდა, გაგრძელდეს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე და შემუშავდეს დეტალური დოკუმენტები.

შემდეგ საკითხად, პლატფორმის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო რეგიონალური ორგანიზაციების განაცხადები, რომელთაც გამოთქვეს ინტერესი გახდნენ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლობები რეგიონებში. რამდენადაც სამცხე-ჯავახეთიდან მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი განაცხადი ავტომატურად მოხდა მისი დამტკიცება. საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ შემოსულ განაცხადებს და ერთობლივი მსჯელობის შედეგად შეირჩა შემდეგი 4 ორგანიზაცია.

- ასოციაცია „მერკური“ – ქ. ზუგდიდი
- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო - ქ. ქუთაისი
- მეგობრობის ხიდი ქართლოსი - ქ. გორი
- საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის რეგიონალური ოფისი - ქ. ახალქალაქი

ბატონმა ზვიად ელიზიანმა ვერ შეძლო საკუთარი ხედვების გაზიარება, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ მისი ინიციატივა განიხილონ შემდეგ შეხვედრაზე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი

სალომე სიჭინავა